



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

2016 წლის II კვარტლის ანგარიში

❖ 1 აპრილს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა „გაზაფხული 2016“. გამოიფინა 58 ავტორის, საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე სხვადასხვა ეროვნების მხატვრების ნამუშევრები.

❖ 6 აპრილს - თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მეორე ტურის კონცერტი. (კახეთისა და ქვემო ქართლის მონაწილეები);



❖ 12 აპრილს საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის II ტურის კონცერტს ამჯერად გორმა უმასპინძლა. გორის, გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში მაყურებლის წინაშე წარდგნენ შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის ფესტივალის მონაწილეები - ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები, მაგალობელთა გუნდები, სახალხო მთქმელები.



❖ პროექტი "ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნიმუშების დაფიქსირება - საარქივო მასალების შექმნა" (კომპლექსური ექსპედიცია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში) განხორციელდება სამ ეტაპად. საექსპედიო ჯგუფი დაკომპლექტებულია დარგობრივი სპეციალისტებითა და ტექნიკური პერსონალით.

19 აპრილის დაიწყო პროექტის პირველი ეტაპი; 29 აპრილის ჩათვლით შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში იმუშავა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და შუახევის კულტურის ცენტრის ერთობლივმა ფოლკლორისულმა ექსპედიციამ .



❖ 26 აპრილს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრების - ჰასან ჰელიმიშისა და დურმიშხან კიკნაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა. გამოფენა მუსილაკურად გააფორმეს ანსამბლებმა - „იაგუნდმა“ და „ელესამ“, რომლებმაც ასევე წარმოადგინეს თეატრალიზებული აჭარული ქორწილი.

❖ 13 მაისს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ინიციატივით, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა სვანი მხატვრის ლეო ხოჯელანის ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოფენა. გამოიფინა ლეო ხოჯელანის 40-მდე ფერწერული ტილო. ასევე სვანი მხატვრების - შავლვა გულედანის, თამარ უდესიანისა და არჩილ გვარლიანის ფერწერა და ხის მხავრული დამუშავების ნიმუშები.



❖9-13 მაისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ესპანელ ეთნომუსიკოლოგს, პედაგოგსა და კომპოზიტორს, პოლო ვალეხოს მასპინძლობდა.

საქართველოს რეგიონების სალოტბარო სკოლების 40-მდე პედაგოგს 5 დღის განმავლობაში თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაუტარდათ.

მასტერკლასის მიზანი იყო: ახალი იდეების, თეორიული და პრაქტიკული სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობა, პედაგოგთა მოტივაციის ამაღლება. ევროპულ ხალხთა ისტორიული ცეკვები, აფრიკის ანტიფონური სტრუქტურები და რიტმიკა, შემოქმედებითი და მრავალფეროვანი მუსიკალური მოგზაურობა ენებსა და კოდებში - ეს ყველაფერი ესპანელმა ეთნომუსიკოლოგმა პოლო ვალეხომ ქართველ ლოტბარებს გაუზიარა.



❖ 17 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დუშეთის სალოტბარო სკოლის მასწავლებლებს, მოსწავლეებს, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელსა და თანამშრომლებს შეხვდა.

სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა, პატრიარქის პატივსაცემად რამდენიმე საგალობელი და ხალხური სიმღერა შეასრულეს.

❖ 20-21 მაისს ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრის სცენაზე გაიმართა ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის II ტური. . მაყურებლის წინაშე წარსდგა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, აჭარის (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური) ფესტივალის მონაწილეები - ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები, მგალობელთა გუნდები, სახალხო მთქმელები.



❖ 25 მაისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა - „ტრადიციების გაცოცხლება“.

გამოფენა სხვადასხვა პროფესიის ავტორთა - გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა - ნამუშევრები: თეიმურაზ ჯალაღანიას (მუსიკოსი) - ხანჯლები, ხმლები, დამბაჩები, ფარები, ჯაჭვის პერანგები, ჩაჩქანები; დავით ჩალათაშვილის (მსახიობი) და ბექა ჭახელიძის (მთარგმნელი) ტყავის მხატვრული დამუშავების ნიმუშები

❖ 24 მაისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის II ტურის კონცერტი გაიმართა. მყურებლის წინაშე წარსდგა თბილისის ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები, მგალობელთა გუნდები, სახალხო მთქმელები.



❖ 30-31 მაისს, ვ. გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სცენაზე ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის II ტურის ბოლო კონცერტი გაიმართა. მაყურებლის წინაშე წარსდგნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, აჭარის - ხულოს, შუახევის, ქედის ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები, მგალობელთა გუნდები, სახალხო მთქმელები.



❖ 6 ივნისს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ფინალი გაიმართა. მაცურებლის წინაშე წარდგნენ ფესტივალის მეორე ტურში ქვეყნის მასშტაბით გამარჯვებული ავტორ-მთქმელები და ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტების შემკრებები. საღამოზე ასევე მონაწილეობდნენ ლაურეატი ანსამბლები.



❖ 19 ივნისს, თბილისმა სალოტბარო სკოლების დღეს უმასპინძლა.

თავდაპირველად, სალოტბარო სკოლების მოსწავლეები და პედაგოგები საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ დალოცა, შემდეგ კი ილიას ბაღში სპეციალურად ამ დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

ამ ერთგვარად საანგარიშო მოსმენა-კონცერტს დაესწრნენ: ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ ჭკუასელი და სხვა საპატიო სტუმრები. სალოტბარო სკოლებს საჩუქრად გადაეცათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქათველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამოცემული ალბომები, ცნობილი ქართველი შემსრულებლების აუდიო ჩანაწერები.



❖ 27, 28 და 29 ივნისს, 19:30 საათზე რუსთაველის თეატრში საქართველოს ფოლკლორის ეროვნული დასკვნითი ტური გაიმართა. ამჯერად, მაყურებლის წინაშე წარდგნენ ფესტივალის ლაურეატები: ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები, მგალობელთა გუნდები.

ფინალურ კონცერტებზე გამარჯვებულ ლაურეატებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები და სიგელები. შეგახსენებთ, რომ „საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2015-2016“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით ტარდება. ფესტივალი წარმოაჩენს საქართველოს ფოლკლორში არსებულ მდგომარეობას. იგი ხელს უწყობს ფოლკლორული ანსამბლების, მგალობელთა გუნდების, ქორეოგრაფიული ანსამბლების, ზეპირსიტყვიერებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა წახალისებას, მათი შემოქმედების პოპულარიზაციას.



❖ უკვე მეორე წელია მთელი ზაფხულის განმავლობაში ბათუმში ყოველდღიურად იმართება ხალხური მუსიკისა და ცეკვის კონცერტები, რომლებშიც სახელმწიფო, მუნიციპალური და თბილისის ანსამბლები მონაწილეობენ - „ფოლკლორის დღეები“. "ფოლკლორის დღეები" გახლავთ "ჰითბათუმი 2016"-ის პროექტი, რომელიც წელს Check in Georgia-ს ფარგლებში ეწყობა.



- გამოსაცემად მზად არის დავით ჯავრიშვილის ანთოლოგია
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „რაჟდენ ხუნდაძე“
- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე - „ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.
- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „როსტომ გოგოლაძე“

- მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.
- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

- ❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

- ❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.